287 Опись 1 64

287 Фонд Опись 1 64

იათნოვას პოეზიის მნიშვნელობაზე ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობისა და სიახლოვისათვის. იგი შეეხო პოეტის ნიჭის, მისი ლექსების იმ განსაკუთრებულ ხასიათს, რომლის მადლითაც იგი ასე ახლობელი იყო და არის სომეხის, აზერბაიჯანელისა თუ ქართველისათვის. მანვე ხაზი გაუსვა ქართლ-კახეთის სამეფოს, ერეკლე მეორის,

მე საიათნოვას ქართულიც მიყვარს,
ჩვენი ქალაქური სიტყვა ხალასი...
მე საიათნოვას ქართულიც მიყვარს,
როგორც ქვა-აგური ნარიყალახი!
ვგრძნობ საიათნოვას ისევ სწყურია,
დაუსხით ღვინო, ღვინო კახური! —
ამ კედელ-ფუძის ქვეშ მისი გული ა,
განა აქ მხოლოდ ქვაა და აგური!

(ქარლო კალაძე)

საიათნოვას ქართული და სომხური ლექსები წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რაფიკ პაპოვიანმა. ასე აღერდა სახალხო მგოსნის ჰანგი და სიტყვა თბილისის ძველ უბანში მაისის კვირადღეს, — მგოსნისა, რომელსაც ნამდვილად შესწვედა ძალა ქადილისა — „სიტყვას ვიტყვი — ცამ ქუხილი დაიწყოს!“.

საიათნოვა.

საიათნოვა

*

შენ იმთავით ბრძენი იყავ, რისთვის დასთმე სიბრძნის მადლი!.,
ერთი მითხარ, სიზმრად ნახულს აბრალებენ განა ცხადლივ?!
ისეც დამწვარს რად მწვავ ისევ, შემომხედე როგორ დავდნი!
ვიცი, თავი მოგაბეზრე, სხვას საშაროს ნუღარ მადრი...

ხარ უბადლო მბრძანებელი, — როსტომისა ზალი, მეფევ,
გვაროვნებში პირველია შენი გვარის ძალი, მეფევ,
თუ ცოდვა მაქვს, თავი ჩემი, — შენი კიდევ ხმალი, მეფევ,
უმიზეზოდ რატომ მტანჯავ, მამა-ღმერთის გქონდეს ყადრი...

დაჭრილი თუ აქიმს უხმობს, შველა უნდა, არა დაღი!
ვერას ავნებს ბატონს მონა! — მაინც ყული არის აღის,
ნუ აიმღვრევ გულსა, სხვისი დაჯერება არა, არ ღირს!..
ღმერთს გვედრებ და, სადა თქმულა!—მომშორდიო, მომწყდი, წადი...

ყველამ ვერ სვას ჩემი წყაროო, — სულ სხვა წყაროს წყალი არის!
ჩემ წიგნს ყველა ვერ გაიგებს, — სულ სხვა დავთრის ცალი არის,
არ სცნო ქვიშად, ფუძე ჩემი ქვიტკირია, სალი არის,
ვით ღვართქაფი უცებ მანგრევ, მომიმატე გულში დარდი...

რაგინდ ბევრი ზიდოს ქარმა, დააკლდება ქვიშა ზღვასა?!
უჩემობით განა საზი დააკლდება მეჯლის-ზმასა?!
მხოლოდ შენ თუ დაგაკლდები, რას დავაკლებ რამეს სხვასა,
საჯათნოვას თეთრად ნუ მისცემ კინდო-ჰაბაშ-არაბთ ადგილს!..

*

როგორც ყარიბი ბულბული თავის ბაღის ნატრულია,
ისე ტირის შენი სატრფოც, შენი ნახვის ნატრულია,
სხვასთან რატომ ლაპარაკობ ყმა ვარ აღის ნატრულია,
მაგ შენი უბის რეჭანი თაბახისა ნატრულია.

არვინ არი მიგამგვანო, დაგიმგვანა მაინც ვინა?!
უზარნაშოდ მოხატული, ზარნიშივით წარბი ბრწყინავს,
ოთხი თითის დადებაზე აგბურცვია მკერდი წინა,
ზარ-აბრეშუმით ჩაწნული ზილფი ნამის ნატრულია.

შენ იმ თავით ნაქები ხარ, მოდი, კიდევ გითხრა ქება:
შენი უბე ვარაყიან მუშკის უჯრას ემგვანება,
ტანზე სამას სამოც-ექვსი ასო მწყობრად გენაკვთება,
მკლავი — ბზა, თითი — სანთელი ბროლის ჭაღის ნატრულია.

მე შენს მეტი არვინ მიყვარს, მარტო შენ გჭვრეტ სასო-იმედს,
ერთი კვირა ვერა განახო, ჩემს ქამანჩას დავწყვეტ სიმებს,
ჩემს იარებს ვერც ხელმწიფე, ვერც ლოხმანი უექიმებს,
რომელ ერთ დარდს გამიგებენ, — წყლული დაღის ნატრულია.

შენი ეშხით გზათაუკან ვეხეტები, ხედავ, ტურფავ?
ცოტა ნელა გაიარე, ნუ დამმართე ბნედა, ტურფავ!
ქვეყანა ვის შერჩენია, ჩვენ რომ შეგვრჩეს ბედად, ტურფავ!
საჯათნოვავ, შენი სატრფოს ყური საზის ნატრულია.

სიტყვა თანამედროვეზე

„ლიტერატურული საქართველო", 1968, 24.V, N=20

აკაკი თოფურია

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურას ცოტა ჰყავს ისეთი რთული, ფართო და ღრმა დიაპაზონის მწერალი, როგორიც კ. გამსახურდია არის.

ბევრი რამ დაწერილა ამ სახელგანთქმულ მწერალზე და კიდევ ბევრი რამ დაიწერება, მაგრამ დღემდე არსებულ ამ კრიტიკულ ნაშრომებს შორის, რომლებიც მიძღვნილია კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოვლენაა „ნაკადულის" მიერ შარშან გამოცემული ბესარიონ ჟღენტის წიგნი „კონსტანტინე გამსახურდია."

მართალია, ბ. ჟღენტი თავისი წარკვევის ამოცანას „მწერლის ლიტერატურული პორტრეტის მოხაზვით" შემოსაზღვრავს, მაგრამ ეს პორტრეტი ისეთ ფართო პლანშია მოცემული, რომ თავიდან მკაფიოდ გვესახება მწერლის იდეურ-შემოქმედებითი ევოლუციის მთელი ის ეტაპები, მრავალმხრივ საინტერესო და შინაარსიანი გზა, რომელიც განვლო მან დღემდინატური ხელოვნებიდან რუსთაველის პრემიის ლაურეატის სამაგიო წოდების მინიჭებამდე.

კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის სათავე უკავშირდება 20-იანი წლების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ძირეული სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნების ეპოქა, როცა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შენდებოდა სრულიად ახალი, კაცობრიობის ისტორიაში მანამდე უცნობი საზოგადოებრივი წყობილება.

კრიტიკოსი ობიექტური მიუდგომლობით ხსნის და ანალიზებს მწერლის ამ დროის შემოქმედებაში გამოხატულ ინდივიდუალისტურ, ცდარ და მერყევ განწყობილებებს, რომლებიც შეუთავსებელი იყო კეთილშობილური რევოლუციის დიად მიზნებთან და ამოცანებთან. „ხანგრძლივად სამშობლოსგან მოწყვეტილი და დასავლეთის ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურის ატმოსფეროში სულიერად მომწიფებული მწერლისათვის — მიუთითებს ბ. ჟღენტი — ცხადია, ძნელი იყო ერთბაშად გაეგო და ეგრძნო ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის სიჭის სიმართლე და ძლეველობა, გამსჭვალულიყო ახალი სამყაროს ხათელი იდეებით და ყოველგვარი მერყეობისა და წინააღმდეგობების გარეშე ჩამდგარიყო სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში".

ახალი პერიოდი კ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზის განვითარებაში, როგორც ცნობილია, ოცდაათიანი წლების დამდეგიდან იწყება. „მთვარის მოტაცება" იქცა არა მხოლოდ კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი ეტაპის დასაწყისად, არამედ ქართული საბჭოთა რომანის ერთ-ერთ ფუძემდებლად, რომლებითაც დღითიდღე მდიდრდება და ფართოვდება თანამედროვე ჩვენი პროზა. კრიტიკოსი განიხილავს ამ რომანის იდეურ-მხატვრულ ღირებულებას, მის როლსა და მნიშვნელობას მწერლის მსოფლმხედველობის, მისი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი მრწამსის, ახალი სინამდვილისადმი მისი დამოკიდებულების გასაგებად. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კრიტიკოსს, როცა იგი დასახელებული რომანის ანალიზისას გაეცნობილი ზოგიერთი შენიშვნის შემდეგ ასეთ დასკვნას აყალიბებს: „მთლიანად კი „მთვარის მოტაცება" ჩვენი რევოლუციური ეპოქის ძირითადი შინაარსის, ძველი სამყაროს გარდაუვალი ნგრევისა და ახალი ცხოვრების დამკვიდრების სამართლით წარმომსახველი დიდი მხატვრული პროზის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია".

ჩვენ კი დავძენდით, რომ „მთვარის მოტაცება" ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია აგრეთვე საერთოდ მწერლის შემოქმედებითი ფსიქოლოგიის რთული ბუნების, შემოქმედებითი პროცესების რთული ლაბირინთების შესაცნობად. რაც უფრო მეტად და ცხადად იქნება აჭოხსნილი ეს რთული ბუნება, მით უფრო ადვილად გასაგები გახდება მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელოვნების, კერძოდ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა, მისი გამომსახველობითი თავისებურება, მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის ურთიერთმიმართება.

კ. გამსახურდია თავისი რომანის მეორე ქარის „ლირიკულ ინტერმეცოში", როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს, „თითქოს საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიას გადაგვეშლის თვალწინ". ამ „ინტერმეცოდან" უაღრესად საყურადღებოა მწერლის იდეშალი სულიერი ცხოვრების ერთი გულწრფელი ღაღადისი „.... მესმის, თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემი გმირები ჩემში... ვხედავ და ვგრძნობ მათ მაგვარად, მათ მაგვარად ვფიქრობ და ვდარდობ... ჯერ ისევ არ ვიცი, მათ რა მოუვათ..."

ამ სიტყვებში შესანიშნავად არის გამოხატული დიდ ხელოვანთა შემოქმედებითი პრაქტიკით დადასტურებული იმ ესთეტიკური თეორიის ჭეშმარიტება და სისწორე, რომელიც მოითხოვს გმირის ხასიათის სრულ შესაბამისობას მის წარმომშობ გარემო პირობებთან, კონკრეტულ-ისტორიულ რეალობებთან.

სინამდვილის ასახვის ასეთი სწორი გზა ანიჭებს ყოველ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს დამაჯერებლობის, ბუნებრიობისა და მკითხველზე იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების დიდ ძალას.

მონოგრაფიაში ბ. ჟღენტი დიდ ადგილს უთმობს კ. გამსახურდიას ისტორიული რომანების „დიდოსტატის მარჯვენისა" და „დავით აღმაშენებლის" შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობის გარკვევას. კრიტიკოსი საბჭოთა ისტორიული რომანის გამართლებას პირველ რიგში სამართლიანად ხედავს „თანამედროვეობის სუნთქვით" ისტორიული წარსულის გაცოცხლებაში და ამ პოზიციიდან აძლევს მაღალ შეფასებას მწერლის უდიდეს დამსახურებას ამ ჟანრის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

მიუხედავად ისტორიული თემატიკით ხანგრძლივი გატაცებისა კ. გამსახურდია არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი ჩვენს დიად თანამედროვეობას, ჩვენი ხალხის გმირული ცხოვრების ცოცხალ სინამდვილეს. ამის მკაფიო დადასტურებაა მისი რომანი „ვაჟის ყვავილობა", რომელსაც კრიტიკოსი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების კონკრეტული ჩვენებით შრომის ბოლო ნაწილში განიხილავს. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებს მწერლის მრავალფეროვანი შემოქმედების სხვა მნიშვნელოვან ნიმუშებსაც, გაკვრით ეხება მის ლიტერატურულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ წერილებს (შრომის ამ ნაწილს, მოცულობის შეზღუდულობის გამო, რამდენადმე სქემატურობა ეტყობა და იგი შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას მოითხოვს).

მთლიანად ბ. ჟღენტის მონოგრაფიული ნარკვევი კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი საყურადღებო კრიტიკული ნაშრომია, რომელიც დიდად დაეხმარება მკითხველს, განსაკუთრებით სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას ჩვენი დროის ამ გამოჩენილი ქართველი მწერლის უაღრესად საინტერესო შემოქმედებითი გზის სწორად გაგებასა და შესწავლაში.

ბესარიონ ჟღენტი, „კონსტანტინე გამსახურდია", „ნაკადული", 1967 წ.

В этом деле пронумеровано
_____ листов
"___" _____ 19__ г.
02.11.93